ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №234

2021 წლის 8 თებერვალი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივლისის №97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივლისის №97 დადგენილების (www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/07/2015; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.160.016308) პირველი მუხლით დამტკიცებულ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1 წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ჭირისუფლის მიერ სასაფლაოების მმართველი ორგანიზაციისთვის მიმართვის შემდეგ გაიცემა საფლავი შემდეგი საფასურის გადახდის შემთხვევაში:

ა) ერთადგილიანი – 50 ლარი;

ბ) ორადგილიანი – 100 ლარი;

გ) სამადგილიანი – 200 ლარი;

დ) ოთხადგილიანი – 300 ლარი;

ე) ერთი ადგილის მომატება – 150 ლარი;

ვ) სამარხზე მომსახურება (მიწის გათხრის სამუშაოები) – 120 ლარი.“

1.2 წესის მე-4 მუხლს დაემატოს 2^1 და 2^2 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1.ათზე მეტ ადგილიანი საფლავის შემენის სურვილის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული ორგანიზაცია მომართავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას შეთანხმების მიზნით.“

„2^2. მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით სარიტუალო მომსახურების შეღავათით სარგებლობა შესაძლებელია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №85 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „სარიტუალო მომსახურებები“ (პროგრამული კოდი 06 02 02) ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი